№2223 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №695 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №695 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩანოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტმა

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, პროექტირების პარალელურ რეჟიმში ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცის შესაბამისად, 2013-2014 წლებში განახორციელოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფაწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 137-კმ 138 მონაკვეთის (ნეიტრალური ზონა) სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.“;

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ამ განკარგულების პირველი, მე–2 და მე–3 პუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვას დეპარტამენტი 2013 წელს განახორციელებს 2013 წლის საჭიროებისათვის შესყიდული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების ფარგლებში, ხოლო ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვას დეპარტამენტი 2014 წელს განახორციელებს 2014 წლის საჭიროებისათვის შესყიდული საზედამხედველო მომსახურებების ფარგლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**